ავტობიოგრაფია

ქეთევან ლოთიშვილი

მე, ქეთევან ლოთიშვილი, დავიბადე ქ. გორში, 1988 წლის 13 დეკემბერს.

1995 წელს შევედი გორის რაიონის, სოფელ ატენის საჯარო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 2006 წლის ივნისში.

2006 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2010 წელს და მომენიჭა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2010 წელს სწავლა განვაგრძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე და 2012 წელს მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში, 2010 წლის მაისიდან 2011 წლის 14 აპრილამდე, სტაჟირება გავიარე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. 2011 წლის 14 აპრილს დავინიშნე თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს სხდომის მდივნის თანამდებობაზე. 2013 წლის 20 სექტემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ბიუროში დაკისრებული მქონდა მოსამართლის თანაშემწის ფუნქციები.

2012 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სასწავლო კურსი და ჩავაბარე სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გამოცდა.

2014 წელს ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2014 წლის 30 იანვრიდან 2019 წლის 02 ივლისამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატში მეკავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა.

2019 წლის 02 ივლისიდან 2023 წლის 11 ივლისამდე მეკავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის თანამდებობა.

სასამართლო სისტემაში მუშაობის პერიოდში ვესწრებოდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის და სხვა დონორი ორგანიზაციების (GIZ, Prolog) მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტრენინგებს და სემინარებს.

2023-2024 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსი.

ქეთევან ლოთიშვილი

16.07.2024 წელი